ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:**ბ48.48220314**
თარიღი:**31/01/2022**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის

შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ"-პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 122-მუხლისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N9 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკ.კოდი N29.07.35.068. სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას".

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურმა მოამზადოს ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი ქონების გადაცემისათვის.

3.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (უფროსი მ. კანკაძე).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ქ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM